



Register your new Bosch now:
www.bosch-home.com/welcome




ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობა
SP...




BOSCH

ka მონმარების ინსტრუქცია





სარჩევი


 დანაშნულებისამებრივი გამოყენება	5
--	---

 უსაფრთხოების მითითებები	5
--	---


სანამ დანადგარს ექსპლუატაციაში ჩაუშვებდეთ	6
მიწოდებისას	6
მონტაჟისას	6
ყოველდღიური მოხმარებისას	8
გამოვლენილი დაზიანებებისას	8
განკარგვისას	8
კარის დაბლოკვა	10

 გარემოს დაცვა	12
შეფუთვა	12
ძველი დანადგარები	12

 დანადგარის გაცნობა	13
მართვის პანელი	13
დანადგარის შიდა სივრცე	13
მენიუს მიმოხილვა	14


 დამარბილებელი მოწყობილობა / სპეციალური მარილი	15
--	----


წყლის სიხისტის ცხრილები	15
დამარბილებელი მოწყობილობის დაყენება	15
სპეციალური მარილის გამოყენება	16
სარეცხი საშუალება მარლის კომპონენტებით	16
დარბილების გამორთვა	16


 სავლები საშუალება	16
სავლები საშუალების როდენობის დაყენება	17
სავლები საშუალების კომპონენტების შემცველი სარეცხი საშუალება	18
სავლები საშუალების დამატების მოთხოვნის მაჩვენებლის გამორთვა	18

 ჭურჭელი	18
---	----

არ არის რეკომენდირებული მინისა და ჭურჭლის დაზიანება	18
ჩალაგება	19
ჭურჭლის ზედა კალათი	19
ჭურჭლის ქვედა კალათი	19
დანა-ჩანგლის კალათი	20
დანა-ჩანგლის უჯრა	20
თარო	21
დასაკეცი შვერილები	22
პატარა თევზების დამჭერი	22
დანების ჩასალაგებელი	22
საცხობი ლანგარის შესაფრქვევი თავაკი	23
ამოლაგება	23
კალათის სიმალის დაყენება	24

 გამწმენდი	25
ჩაასხით სარეცხი საშუალება	26
კომბინირებული სარეცხი საშუალება	27

 პროგრამის მიმოხილვა	28
პროგრამის არჩევა	30
მითითებები სატესტო ორგანოებისათვის	30


 დამატებითი ფუნქციები	30
დროის დაზოგვა (VarioSpeedPlus)	30
ნახევარი დატვირთვა	30
ჰიგენა პლუსი	30
ინტენსიური ზონა	31
განსაკუთრებით გაშრობა	31
ბზინვარედ გაშრობა	31
ენერჯის დაზოგვა	31


დანადგარის გამოყენება 31

პროგრამის მონაცემები.....	31
აქვასენსორი	31
დანადგარის ჩართვა	32
Timelight	32
Infolight	33
დარჩენილი დროის მაჩვენებელი	34
დროის არჩევა	34
პროგრამის დასრულება	35
AutoPowerOff	35
გამორთეთ დანადგარი	36
პროგრამის შეწყვეტა	36
პროგრამის შეწყვეტა	37
პროგრამის შეცვლა	37
ინტენსიური შრობა.....	37

გაწმენდა და ტექნიკური მომსახურება..... 38

ჭურჭლის სარეცხი მანქანის ზოგადი მდგომარეობა	38
მანქანის მოვლა	39
სპეციალური მარილი და სავლები საშუალება	39
ფილტრი	40
სარეცხი მკლავი	40

 ხარვეზი, როგორ მოვიქცეთ?.....	41
სადრენაჟო ტუმბო.....	42
ხარვეზების ცხრილი.....	43

 კლიენტთა მომსახურების სამსახური.....	56
--	----

მონტაჟი და დაერთება.....56

მოწოდების მოცულობა	57
უსაფრთხოების მითითებები.....	57
მიწოდება	57
ტექნიკური მონაცემები	57
დაყენება.....	58
გადინების წყლის შეერთება	58
სასმელი წყლის შეერთება	58
ცხელი წყლის შეერთება	59
ელექტრული შეერთება	60
დემონტაჟი.....	60
ტრანსპორტირება.....	61
ყინვისაგან დაცვა (დანადგარის დაცლა).....	61



დანიშნულებისამებრივი გამოყენება

- ეს დანადგარი განკუთვნილია სახლში მოხმარებისათვის, კერძო საკუთრებისა და სახლის გარემოსათვის.
- გამოიყენეთ ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობა მხოლოდ საყოფაცხოვრებო მიზნით და მხოლოდ მოცემული დანიშნულებით: საყოფაცხოვრებო ჭურჭლის გასარეცხად.
- ეს ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობა განკუთვნილია ზღვის დონიდან მაქს. 4000 მ-ზე ექსპლუატაციისათვის.



უსაფრთხოების მითითებები

ამ დანადგარის გამოყენება ნებადართულია 8 წელზე უფროსი ასაკის ბავშვებისათვის და ფიზიკურად, სენსორულად ან გონებრივად შეზღუდული უნარის მქონე ადამიანებისათვის ან გამოცდილებისა თუ ცოდნის არ მქონე პირთათვის, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ მეთვალყურეობის შემთხვევაში ან დანადგარის უსაფრთხო მოხმარების შესწავლის შემდეგ, თუ მათთვის გასაგებია არასწორ მოხმარებასთან დაკავშირებული რისკები.

ბავშვების თამაში დანადგართან დაუშვებელია. გაწმენდითი სამუშაოები, ისევე როგორც დანადგარის ტექნიკური მომსახურება დაუშვებელია განხორციელდეს ბავშვების მიერ, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ასაკი არის 8 წელზე მეტი და იმყოფებიან მეთვალყურეობის ქვეშ.

მოარიდეთ 8 წლამდე ასაკის ბავშვები დანადგარს და მის გაყვანილობებს.

სანამ დანადგარს ექსპლუატაციაში ჩაუშვებდეთ

ყურადღებით წაიკითხეთ მოხმარებისა და მონტაჟის ინსტრუქციები! თქვენ მიიღებთ მნიშვნელოვან ინფორმაციას დანადგარის დაყენების, მოხმარებისა და ტექნიკური მომსახურების შესახებ.

შეინახეთ ყველა დოკუმენტი შემდგომი გამოყენებისათვის ან შემდგომი მფლობელისათვის.

გამოყენების ინსტრუქცია თქვენ შეგიძლიათ უფასოდ ჩამოტვირთოთ ჩვენი ინტერნეტ გვერდიდან. შესაბამისი ინტერნეტ მისამართის ნახვა შეგიძლიათ ამ გამოყენების ინსტრუქციის უკანა გვერდზე.

მიწოდებისას

1. დაუყოვნებლივ შეამოწმეთ შეფუთვა და ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობა ტრანსპორტირების ზიანზე. არ გამოიყენოთ დაზიანებული დანადგარი, არამედ მიმართეთ თქვენს მომწოდებელს.
2. შესაბუთი მასალები სათანადოდ განკარგეთ.
3. არ დაუტოვოთ შეფუთვა და მისი ნაწილები ბავშვებს სათამაშოდ. შესაფუთი მასალა და ფურცლები, დახრჩობის საფრთხეს ქმნის.

მონტაჟისას

- ყურადღება მიაქციეთ, რომ ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობის უკანა მხარე, მონტაჟის შემდეგ აღარ იყოს თავისუფლად მიდგომადი (შენებისაგან დამცავი ცხელი ზედაპირის გამო).
- დაყენება და სეერთება საინსტალაციო და სამონტაჟო ინსტრუქციის თანახმად მოახდინეთ.
- მონტაჟისას ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობა გამოერთებული უნდა იყოს კვების წყაროდან.
- დარწმუნდით, რომ სახლის ელექტროული მონტაჟების დამცავი სისტემა ჯეროვნად არის დაყენებული.
- შეერთების ელექტროული მონაცემები თანხვედრაში უნდა მოდიოდეს ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობის ტიპის ნიშნულზე 33 მოცემულ მონაცემებთან.
- თუკი თქვენს დანადგარს დაუზიანთა ქსელის შემაერთებელი გაყვანილობა, მისი გამოცვლა უნდა მოხდეს განსაკუთრებული შეერთების გაყვანილობით. შესაძლო საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ასეთი სახის სამუშაოები კლიენტთა მომსახურების სამსახურის მიერ უნდა შესრულდეს.

- თუ, ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობა მაღალ კარადაში მონტაჟდება, ის სათანადოდ მყარად უნდა იქნას დამაგრებული.
- თუ ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობა სხვა საყოფაცხოვრებო დანადგარის ქვეშ ან ზემოთ უნდა ჩაშენდეს, საჭიროა გათვალისწინებული იქნას შესაბამისი დანადგარის ჭურჭლის სარეცხთან ერთად კომბინაციაში მონტაჟის ინსტრუქციები.
- ყველა დანადგარის უსაფრთხო ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად, ასევე, ყურადღება მიაქციეთ ჭურჭლის სარეცხის სამონტაჟო ინსტრუქციას.
- თუ არ არის აღნიშნული ინდორმაცია ან სამონტაჟო ინსტრუქცია არ შეიცავს შესაბამის მითითებებს, გთხოვთ მიმართეთ ამ დანადგარის მწარმოებელს, რათა დარწმუნდეთ, რომ ჭურჭლის სარეცხის მონტაჟი დასაშვებია ამა თუ იმ დანადგარის ზემოთ ან ქვემოთ.
- თუ თქვენ ვერ მიიღეთ მწარმოებლისაგან ინფორმაცია, ნუ დაამონტაჟებთ ჭურჭლის სარეცხს ამა თუ იმ მოწყობილობის ზემოთ ან ქვემოთ.
- თუ თქვენ, ჭურჭლის სარეცხის ზემოთ მიკროტალღურ ღუმელს ჩააშენებთ, ის შეიძლება დაზიანდეს.
- ქვემოთ ჩასაშენებელი ან ინტეგრირებადი დანადგარები მხოლოდ უწყვეტი სამუშაო ზედაპირის ქვეშ ჩააშენეთ, რომლის დროსაც, პოზიციონირების უსაფრთხოებისათვის, ისინი მოსაზღვრე კარადებთან მყარად მიახრახნეთ.
- არ დაამონტაჟოთ დანადგარი სითბოს წყაროების სიახლოვეს (გამათბობელი, ღუმელი, ან სხვა სითბოს წარმომქმნელი) და არ ჩააშენოთ ის კონფორების ველის ქვეშ.
- გაითვალისწინეთ, რომ სითბოს წყაროებთან (მაგალითად, გათბობის მოწყობილობები / ცხელი წყლის მოწყობილობები) ან დანადგარის ცხელ ნაწილებთან სიახლოვისას, შესაძლოა ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობის ქსელის გაყვანილობის იზოლაცია დადნეს. ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობის ქსელის გაყვანილობა, არასოდეს მოიყვანოთ კონტაქტში სითბოს წყაროებთან ან დანადგარის ცხელ ნაწილებთან.

ka უსაფრთხოების მითითებები

- დანადგარის დაყენების შემდეგ, ქსელის შტეკერი იოლად მიდგომადი უნდა იყოს. → "ელექტრული შეერთება" გვერდზე 60
- ზოგიერთი მოდელისათვის: წყლის შეერთების პლასტმასის პანელი შეიცავს ელექტრულ სარკველს. გადინების შლანგში მდებარეობს ელექტრული შეერთების გაყვანილობა. არ გადაჭრათ გადინების შლანგი. არ ჩაძიროთ პლასტმასის პანელი წყალში.

ყოველდღიური მოხმარებისას

ყურადღება მიაქციეთ საწმენდი და სავლები პროდუქტების შეფუთვაზე მოცემულ უსაფრთხოებისა და გამოყენების მითითებებს.

გამოვლენილი დაზიანებებისას

- შეკეთებითი და ტექნიკური სამუშაოების წარმოება დასაშვებია მხოლოდ სპეციალისტების მიერ. ამისათვის, დანადგარი გამოერთებული უნდა იყოს კვების წყაროდან. კვების შტეკერი გამოაერთეთ ან გათიშეთ დამცავები. დაკეტეთ წყლის ონკანი.
- დაზიანებისას, განსაკუთრებით მართვის პანელის (ნაპრალეები, ხვრელები, ამოტეხილი დილაკები) ან კარის შემთხვევაში, დანადგარის ოპერირება უნდა შეწყვიტოთ. კვების შტეკერი გამოაერთეთ ან გათიშეთ დამცავები. დაკეტეთ წყლის ონკანი, დარეკეთ კლიენტთა მომსახურების სამსახურში.

განკარგვისას

1. ვადა გასული დანადგარები დაუყოვნებლივ განადეთ გამოუყენებელი, რათა მისით შემდგომი საფრთხე იქნას თავიდან აცილებული.
2. განახორციელეთ დანადგარის ჯეროვანი განკარგვა.

⚠ გაფრთხილება

დაზიანების საფრთხე!

- ჭურჭლის სარეცხი მხოლოდ ხანმოკლე დროით, ჩატვირთვისა და გადმოტვირთვისას გააღეთ, რათა თავიდან აირიდოთ მაგ. ფეხის წამოკვრის გამო შესაძლო დაზიანება.
- დანები და სხვა ერთულები, რომელსაც ბასრი წვეტი გააჩნიათ, დანა-ჩანგლის კალათში* [28] წვეტით ქვემოთ უნდა განთავდნენ ან დანების დანაყოფში* ან დანა-ჩანგლის უჯრაში* [21] ჰორიზონტალური პოზიციონირებით.
- არ ჩამოჯდეთ ან დადგეთ გაღებულ კარზე.

- ამასთან, სტანდარტული დანადგარების შემთხვევაში, ყურადღება მიაქციეთ, რომ კალათები არ გადაიტვირთოს. დანადგარი შეიძლება გადაყირავდეს.
- თუ დანადგარი არ არის მოთავსებული ნიშაში და ამიტომ ხელმისაწვდომია მისი გვერდითა კედელი, საჭიროა კარის ანჯამის არეალი უსაფრთხოების მიზნით შეიფუთოს (დაზიანების საფრთხე). საფარის მიღება შეგიძლიათ დამატებითი აქსესუარის სახით კლიენტთა მომსახურების სამსახურში ან სპეციალიზირებულ მაღაზიაში.

* თქვენი ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობის აღჭურვილობის ვარიანტის შესაბამისად

⚠ გაფრთხილება

აფეთქების გამო შესაძლო საფრთხე!

არ ჩაასხათ გამხსნელი საშუალება სარეცხ არეში. არსებობს აფეთქების საფრთხე.

⚠ გაფრთხილება

დაწვის საფრთხე!

პროგრამის მიმდინარეობისას კარი ფრთხილად გააღეთ. არსებობს საფრთხე, რომ დანადგარიდან გადმოეშეფება ცხელი წყალი.

გაფრთხილება

ბავშვებისათვის საფრთხე!

- არსებობის შემთხვევაში, გამოიყენეთ ბავშვთა უსაფრთხოების ჩამკეტი.
- არ მისცეთ ბავშვებს უფლება ითამაშონ დანადგარით ან მართონ ის.
- მოარიდეთ ბავშვები სარეცხ და სავლებ საშუალებებს. ამას შეუძლია პირის, ყელისა და თვალების დამწვრობა ან გაგუდვა გამოიწვიოს.
- მოარიდეთ ბავშვები გაღებულ ჭურჭლის სარეცხ მოწყობილობას. შესაძლოა ჭურჭლის სარეცხ მოწყობილობაში პატარა ნაწილები იდოს, რომელიც ბავშვს გადაეყლაპოს, და მასში არსებული წყალი არ არის დასალებად ვარგისი, ის შეიძლება შეიცავდეს სარეცხი საშუალების ნარჩენებს.
- ყურადღება მიაქციეთ, რომ ბავშვები არ სწვდნენ აბის ჩასადებს [24]. პატარა თითები შეიძლება შლიცებში გაეჭედოთ.

- მაღალ კარადაში ჩაშენებული დანადგარების შემთხვევაში, კარის გაღებისა და დახურვისას, ყურადღება მიაქციეთ, რომ ბავშვები დანადგარის კარსა და მის ქვეშ მდებარე კარადის კარს შორის არ გაიჭედონ.
- ბავშვები შეიძლება ჩაიკეტონ დანადგარში (გაგუდვის საფრთხე) ან სხვა სახიფათო მდგომარეობა შეიქმნან. მოქმედების ვადა ამოწურული დანადგარებისათვის საჭიროა შემდეგი: ქსელის შტეკერი გამოაერთეთ და გადაჭერით კაბელი. კარის საკეტი ისე გატეხეთ, რომ ის აღარ იკეტებოდეს.

ბავშვების უსაფრთხოების ჩამკეტი (კარის დაბლოკვა) *
ბავშვების უსაფრთხოების ჩამკეტი (კარის დაბლოკვა) იცავს ბავშვებს შესაძლო საფრთხისაგან, რომელის ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობისაგან შეიძლება წარმოიქმნას.


გაფრთხილება

გაგუდვის საფრთხე!

ბავშვებს შეუძლიათ ჩაიკეტონ ჭურჭლის სარეცხ მანქანაში და დაიზრწონ. ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობისა და ტოვებისას, ყოველთვის სრულად დახურეთ მისი კარი.


ასე შეგიძლიათ გაააქტიუროთ ბავშვების უსაფრთხოების ჩამკეტი (კარის დაბლოკვა):

1. ბავშვის უსაფრთხოების ჩამკეტის ბერკეტის აწევა (1).
 2. დაკეტეთ კარები (2).
- ბავშვების უსაფრთხოების ჩამკეტი აქტიურია.



ასე შეგიძლიათ გააღოთ კარი, ბავშვთა გააქტიურებული უსაფრთხოების ჩამკეტის (კარის დაბლოკვა) დროს:


1. ბავშვის უსაფრთხოების ჩამკეტის ბერკეტს მარჯვნივ დააწეჭით (1).
2. გააღეთ კარი (2).



ასე შეგიძლიათ მოახდინოთ ბავშვების უსაფრთხოების ჩამკეტის დეაქტივაცია (კარის დაბლოკვა):

1. ბავშვის უსაფრთხოების ჩამკეტის ბერკეტს მარჯვნივ დააწეჭით (1).
2. ბავშვის უსაფრთხოების ჩამკეტის ბერკეტი უკან შეაფურეთ (2).

ბავშვთა უსაფრთხოების ჩამკეტი დეაქტივირებულია.



* თქვენი ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობის აღჭურვილობის ვარიანტის შესაბამისად



გარემოს დაცვა

ახალი დანადგარების შეფუთვის მსგავსად, ძველი დანადგარებიც შეიცავენ ძვირფას ნივთიერებებს და განმეორებით გამოყენებად მასალებს.

გთხოვთ თითოეული ნაწილი, ტიპების მიხედვით დაყავით და ისე განკარგეთ.

აქტუალური გადაგდების საშუალებებისათვის მიიღეთ ინფორმაცია თქვენს სავაჭრო წერტილში ან ადგილობრივ სამმართველოში ან ქალაქის სამმართველოში.

შეფუთვა

დანადგარის ყველა პლასტმასის ნაწილი აღნიშნულია საერთაშორისო ნორმების შესაბამისი შემოკლებით (მაგ. "PS" პოლისტიროლი). ამით შესაძლებელია დანადგარის განკარგვისას, შემადგენელი ნაწილების შესაბამისი დანაწილება.

ყურადღება მიაქციეთ უსაფრთხოების მითითებებს "მოწოდებისას"
→ გვერდი 6.

ძველი დანადგარები

ყურადღება მიაქციეთ უსაფრთხოების მითითებებს "განკარგვისას"
→ გვერდი 8.



ეს დანადგარი აღნიშნულია ელექტრო და ელექტროლი დანადგარების (ელექტრო ნარჩენები და ელექტრონული აღჭურვილობები WEEE) ევროპის 2012/19/EU რეგულაციების შესაბამისად. ევროპის ფარგლებში, ეს რეგულაციები იძლევა ძველი დანადგარების უკან დაბრუნებისა და შეფასების საშუალებას.

დანადგარის გაცნობა

მართვის პანელისა და დანადგარში ჩალაგების დასურათება მოცემულია ბროშურის დასაწყისში. თითოეული პოზიცია განხილულია ტექსტში.

მართვის პანელი

იხილეთ სურათი → გვერდი 2

- 1 ჩართვა-/გამორთვის ჩამრთველი
- 2 პროგრამის ღილაკები **
- 3 მაჩვენებელი „წყლის მიწოდების შემოწმება“
- 4 მარილის დამატების მაჩვენებელი
- 5 სავლები საშუალების დამატების მოთხოვნის მაჩვენებელი
- 6 დროის არჩევა
- 7 პროგრამის ღილაკები / დამატებითი ფუნქციები **
- 8 ღილაკი START
- 9 მაჩვენებელი ფანჯარა
- 10 კარის გამღები

* თქვენი ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობის აღჭურვილობის ვარიანტის შესაბამისად

** რაოდენობა თქვენი ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობის აღჭურვილობის ვარიანტის შესაბამისად

დანადგარის შიდა სივრცე

იხილეთ სურათი → გვერდი 2

- 20 შიდა განათება *
- 21 დანა-ჩანგლის უჯრა *
- 22 ჭურჭლის ზედა კალათი
- 23 ზედა სარეცხი მკლავი
- 24 აბის ჩასადები
- 25 ქვედა სარეცხი მკლავი
- 26 სპეციალური მარილის სამარაგე ავზი
- 27 ფილტრი
- 28 დანა-ჩანგლის კალათი
- 29 ჭურჭლის ქვედა კალათი
- 30 სავლები საშუალების სამარაგე ავზი
- 31 საწმენდის დანაყოფი
- 32 ჩამკეტი სარეცხის დისპენსერისთვის
- 33 ტიპის ნიშნული

* თქვენი ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობის აღჭურვილობის ვარიანტის შესაბამისად

მენიუს მიმოხილვა

თქვენს დასახმარებლად, ჭურჭლის სარეცხისათვის, გარკვეული პარამეტრები იქნა ნაგულისხმევად დაყენებული. პარამეტრების ნახვა შეგიძლიათ თითოეულ თავში. თქვენ შეგიძლიათ შეცვალოთ ეს ქარხნული პარამეტრები.

პარამეტრი	ქარხნული პარამეტრები	აღწერილობა
H წყლის სიხისტე H:00 - H:07	H:04	წყლის სიხისტის პარამეტრი. სარეცხი მულტი აბების გამოყენებისას, აირჩიეთ ყველაზე დაბალი დონე.
r სავლები საშუალება r:00 - r:05	r:04	სავლები სითხის რაოდენობა ზეგავლენას ახდენს შრობაზე. სარეცხი მულტი აბების გამოყენებისას, აირჩიეთ 0 დონე.
d ინტენსიური შრობა d:00 - d:01	d:00 / გამორთული	გაუმჯობესებული შრობა, მინისა და პლასტმასის ერთეულებისათვის.
R ცხელი წყალი* R:00 - R:01	R:00 / გამორთული	შესაძლებელია ცხელ (40-60°C) ან ცივ წყალზე შეერთება (<40°C).
P Auto Power Off P:00 - P:02	P:01	გავლების ციკლის დასრულების შემდეგ დანადგარის ავტომატური გამორთვა.
b სიგნალის ხმის სიმძლავრე * b:00 - b:03	b:02	პროგრამის დასასრულს, სიგნალის ხმის სიმძლავრე.
S Timelight * S:00 - S:02	S:01	პროგრამის მიმდინარეობის დროს სტატუსის ინფორმაცია იატაკზე პროექტირდება.
/ საინფორმაციო განათება * /:00 - /:01	/:01 / ჩართვა	რეცხვის მიმდინარე პროცესის აღსანიშნავად, პროექტირდება განათება.

* თქვენი ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობის აღჭურვილობის ვარიანტის შესაბამისად

დამარბილებელი მოწყობილობა / სპეციალური მარილი

რეცხვის კარგი შედეგისათვის, ჭურჭლის სარეცხ მანქანას ესაჭიროებ რბილი, კალცისაგან თავისუფალი წყალი, ვინაიდან სხვა შემთხვევაში ჭურჭელსა და შიდა რეზერვუარზე კალცის ნარჩენები ვლინდება. ონკანის წყალი 7° dH (1,2 მმოლ/ლ) ზევით უნდა დარბილდეს. ეს ხორციელდება სპეციალური მარილის დახმარებით (რეგენერირებული მარილი), რომელიც ჭურჭლის სარეცხის დამარბილებელ მოწყობილობაშია. პარამეტრები და მასთან დაკავშირებული მარილის რაოდენობა დამოკიდებულია თქვენი წყლის სიხისტის გრადუსზე (იხილეთ შემდგომში წყლის სიხისტის ცხრილი).

წყლის სიხისტის ცხრილები

წყლის-სიხისტის მაჩვენებელი °dH	სიხისტის-დიაპაზონი	მმოლ/ლ	მანქანაზე პარამეტრის მნიშვნელი
0-6	რბილი	0-1,1	H:00
7-8	რბილი	1,2-1,4	H:01
9-10	საშუალო	1,5-1,8	H:02
11-12	საშუალო	1,9-2,1	H:03
13-16	საშუალო	2,2-2,9	H:04
17-21	ხისტი	3,0-3,7	H:05
22-30	ხისტი	3,8-5,4	H:06
31-50	ხისტი	5,5-8,9	H:07

დამარბილებელი მოწყობილობის დაყენება

თქვენ შეგიძლიათ დააყენოთ მარილის დამატების რაოდენობა H:00-დან H-მდე 7. პარამეტრისას H:00 საჭიროა მარილი.

ამგვარად, თქვენ შეგიძლიათ დააყენოთ მარილის დასამატებელი რაოდენობა:

1. გაყვანილობის წყლის სიხისტე, ადგილობრივი წყალმომარაგებისაგან შეიტყუეთ.
2. საჭირო დონე, გთხოვთ იხილოთ წყლის სიხისტის ცხრილში.
3. ჩართეთ ჩართვა/გამორთვის ჩამრთველი 1.
4. გეჭირთ პროგრამის ღილაკზე A და ჩართვის (START) ღილაკს 8 იმდენჯერ დააჭირეთ, სანამ მაჩვენებელ ფანჯარაში H:0... არ გამოჩნდება.
5. აუშვით ხელი ორივე ღილაკს. ღილაკის მანათობელი მაჩვენებელი A ციმციმებს და მაჩვენებელ ფანჯარაში 9 ანათებს ქარხნულად დაყენებული მნიშვნელობა H:04.
6. დააჭირეთ პროგრამის ღილაკს C. ღილაკზე თითოეული დაჭირით, მატულობს დასაყენებელი მნიშვნელი ერთი საფეხურით; როდესაც საფეხური მიიღწევა H:07, მაჩვენებელი ისევ გამოჩნდება H:00 (გამორთული).
7. დააჩირთ ღილაკს 8 START (ჩართვა). პარამეტრის მნიშვნელი ინახება ჭურჭლის სარეცხ მანქანაში.

სპეციალური მარილის გამოყენება


დაამატეთ სპეციალური მარილი, როგორც კი მარილის დამატების მაჩვენებელი [4] მართვის ველზე გაანათებს. სპეციალური მარილი, ყოველთვის უშუალოდ ჭურჭლის სარეცხი მანქანის ჩარის წინ დაამატეთ. ასე, გადმონიშნული მარილის ხსნარი უმალ გაირეცხება და სარეცხ ავზში კოროზიების წარმოქმნას აირიდებთ.

ყურადღება

გამწმენდი ანადგურებს დამარბილებელ მოწყობილობას! არასოდეს ჩაასხად გამწმენდი სპეციალური მარილის სარეზერვო ავზში.

ასე შეგიძლიათ დაამატოთ სპეციალური მარილი:

1. რეზერვუარის ხრახნი [26] გახსენით.
2. რეზერვუარი წყლით აავსეთ (მხოლოდ პირველი გამოყენებისას).
3. სპეციალური მარილი დასურათების შესაბამისად დაამატეთ (არ გამოიყენოთ საკვები მარილი ან აბები).
ამასთან ერთად ზდება წყლის გამოშვება და გამოდიდება.



* თქვენნი ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობის აღჭურვილობის ვარიანტის შესაბამისად

გამიყენეთ სარეცხი საშუალება მარილის კომპონენტებით

მარილის კომპონენტებიანი გამწმენდები, შეგიძლიათ ზოგადად 21° გს-მდე (37° ფს, 26° კლარკი, 3,7მმოლ/ლ) მნიშვნელობისას, სპეციალური მარილის დამატების გარეშე გამოიყენოთ. 21° გს-ზე მაღალი წყლის სინისტის მაჩვენებლისას, დამატებით სპეციალური მარილი გამოიყენეთ.

მარილის დამატების მაჩვენებელი /

დამარბილებელი

მოწყობილობის გამორთვა

თუკი თქვენ მარილის დამატების მაჩვენებელი [4] ზელს გიშლით (მაგალითად, როდესაც კომბინირებულ გამწმენდს იყენებთ, მარილის კომპონენტებით), თქვენ შეგიძლიათ გამორთოთ მარილის დამატების მაჩვენებელი.

იმოქმედეთ ქვემოთ მოცემული „სინისტის დამარბილებელი მოწყობილობის დაყენებაში“ აღწერილი მნიშვნელების H:SS დაყენებით.

სინისტის დამარბილებელი მოწყობილობა და მარილის დამატების მაჩვენებელი გამოირთვება.




სავლები საშუალება


გავლების საშუალება საჭიროა ჭურჭლის ლაქების გარეშე გამშრალებისა და ბზინვარე ჭიქებისათვის. გამოიყენეთ მხოლოდ საყოფაცხოვრებო სავლები საშუალებები. როგორც კი გავლების შევსების მაჩვენებელი [5] მართვის პანელზე გაანათებს, გავლების საშუალების მარაგი 1 - 2 გავლების ციკლისათვის იქნება საკმარისი. დაამატეთ სავლები საშუალება.

ამ გზით, თქვენ შეგიძლიათ დაამატოთ სავლები საშუალება:

1. რეზერვუარი [30] გახსენით; კლაპანს თავსახურზე დააჭირეთ (1) და ამოწიეთ (2).



2. სავლები საშუალება მაქს. ნიშნულამდე შეავსეთ.



3. დაახურეთ თავსახური. თავსახური ჩაჯდება ხმოვანი ტკაცუნით.
4. გადმოსული სავლები საშუალება ჩვარის მეშვეობით გაწმინდეთ. ეს თავიდან აგარიდებთ შემდეგი გავლების პროცესისას ქაფის წარმოქმნას.

სავლები საშუალების რაოდენობის დაყენება

თქვენ შეგიძლიათ დააყენოთ სავლები საშუალების დამატების რაოდენობა რ:მმ-დან რ:მნ-მდე. შრობის საუკეთესო შედეგის მისაღებად, სავლები საშუალების დონე დააყენეთ რ:მ4 -ზე. ქარხნულად, ის უკვე დაყენებულია რ:მ4 დონეზე. შეცვალეთ სავლები საშუალების რაოდენობა მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩრდილები ან წყლის ლაქები დარჩება თქვენს ჭურჭელზე. ჩრდილების თავიდან ასაცილებლად, გამოიყენეთ უფრო დაბალი დონე. წყლის ლაქების თავიდან ასაცილებლად, უფრო მაღალი დონე გამოიყენეთ.

ასე დააყენებთ სავლები საშუალების რაოდენობას:

1. ჩართეთ ჩართვა/გამორთვის ჩამრთველი [1].
2. გეჭიროთ პროგრამის ღილაკზე [A] და ჩართვის (START) ღილაკს [8] იმდენჯერ დააჭირეთ, სანამ მაჩვენებელ ფანჯარაში H:მ... არ გამოჩნდება.
3. აუშვით ხელი ორივე ღილაკს. ღილაკის მანათობელი მაჩვენებელი [A] ციმციმებს და მაჩვენებელ ფანჯარაში [9] ანათებს ქარხნულად დაყენებული მნიშვნელობა H:მ4.
4. პროგრამის ღილაკს [A] იმდენჯერ დააჭირეთ, სანამ მაჩვენებელ ფანჯარაში [9] ქარხნულად დაყენებული რ:მ4 მნიშვნელობა არ გამოჩნდება.
5. დააჭირეთ პროგრამის ღილაკს [C]. ღილაკზე თითოეული დაჭერით, მატულობს დასაყენებელი მნიშვნელი ერთი საფეხურით; როდესაც საფეხური მიიღწევა რ:მნ, მაჩვენებელი ისევ გამოჩნდება რ:მმ (გამორთული).
6. დააჩირეთ ღილაკს [8] START (ჩართვა).
პარამეტრები შეინახება.

გამოიყენეთ სავლები საშუალების კომპონენტების შემცველი სარეცხი საშუალება

სავლები კომპონენტებიანი გამწმენდები, შეგიძლიათ ზოგადად 21° გს-მდე (37° ფს, 26° კლარკი, 3,7მმოლ/ლ) მნიშვნელობისას, სავლები საშუალების დამატების გარეშე გამოიყენოთ. 21° გს-ზე მაღალი წყლის სინისტის მაჩვენებლისას, დამატებით სავლები საშუალება გამოიყენეთ.

სავლები საშუალების დამატების მოთხოვნის მაჩვენებლის გამორთვა

თუკი თქვენ სავლები საშუალების დამატების მაჩვენებელი ხელს გიშლით (მაგალითად, როდესაც კომბინირებულ გამწმენდს იყენებთ, სავლები საშუალები კომპონენტებით), თქვენ შეგიძლიათ გამორთოთ სავლები საშუალების დამატების მაჩვენებელი.

იმოქმედეთ ქვემოთ მოცემული „სავლები საშუალების რაოდენობის დაყენებაში“ აღწერილი მნიშვნელების რ:სს დაყენებით. სავლები საშუალების შევსების მაჩვენებელი გამორთულია.

ჭურჭელი

არ არის რეკომენდირებული

- დანა-ჩანგალი და ხის ჭურჭლის ნაწილები.
- მგრძნობიარე დეკორატიული შუშები, მნატვრული და ანტიკური ჭურჭელი. ეს დეკორები არ არის ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობის მიმართ მდგრადი.
- სიცხის მიმართ მგრძნობიარე პლასტმასის ნაწილები.
- სპილენძისა და კალის ჭურჭელი.
- ჭურჭელი, რომელიც ნახშირით, ცვილით, საპოხი ცხიმით ან საღებავით არის დაბინძურებული. შუშის დეკორმა, ალუმინმა და ვერცხლის ნაწილებმა შესაძლოა გავლებისას ფერის ცვლილება განაპირობონ. ასევე ბევრი რეცხვისაგან შუშის ზოგირით ნაწილები (მაგ. ბროლის მინის ნივთები) შეიძლება დაიბუროს.

მინისა და ჭურჭლის დაზიანება

- მიზეზები:**
- მინისა და მისი წარმოების ტიპი.
 - საწმენდი საშუალებების ქიმიური შემადგენლობა.
 - გავლების პროგრამისას წყლის ტემპერატურა.

რეკომენდაცია:

- გამოიყენეთ მხოლოდ შუშა და ფაიფური, რომელიც მწარმოებლის მიერ აღნიშნულია ჭურჭლის სარეცხი მანქანისათვის შესაბამისად.
- გამოიყენეთ საწმენდი საშუალება, რომელზეც მითითებულია ჭურჭლისათვის რეკომენდირებული.
- შუშა და დანა-ჩანგალი, პროგრამის დასრულებიდან მაქსიმალურად მოკლე დროში გამოიღეთ ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობიდან.


ჩალაგება

1. მოაშორეთ საკვების უხეში ნარჩენები. წინასწარ გავლება გამდინარე წყლის ქვეშ არ არის საჭირო.
2. ჭურჭელი ისე ჩალაგეთ, რომ
 - მყარად იდგეს და არ გადაყირავდეს.
 - ყველა ჭურჭელი ღიობით ქვემოთ უნდა ჩალაგდეს.
 - ნაწილები ამობურცულობები ან ჩაღრმავებებით დამრეცად დადგით, რათა წყალმა გამოსვლა შეძლოს.
 - ეს არ უშლის ხელს სარეცხი მკლავების ტრიალს [23] და [25] არ აფერხებს.

ჭურჭლის ძალიან პატარა ნაწილები არ უნდა გაირეცხოს მანქანაში, ვინაიდან ისინი მარტივად შეიძლება გადმოცვივდნენ კალათიდან.


ჭურჭლის ზედა კალათი

შეალაგეთ ჭიქები ჭურჭლის ზედა კალათში [22].




* თქვენი ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობის აღჭურვილობის ვარიანტის შესაბამისად

მითითება: ყურადღება მიაქციეთ, რომ ჭურჭლის ერთეულები არ იდონ აბის ჩასადებზე [24]. ამას შეუძლია საწმენდი განაყოფის თავსახურის [31] დაბლოკვა განაპირობოს.



ჭურჭლის ქვედა კალათი

ქვაბები და თევშები ჭურჭლის ქვედა კალათში [29] ჩალაგეთ.



* თქვენი ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობის აღჭურვილობის ვარიანტის შესაბამისად

ka ჭურჭელი


რჩევა: ძლიერად დაბინძურებული ჭურჭელი (ქვაბები) ქვედა კალათში ჩაალაგეთ. ძლიერი სარეცნი ჭავლის მეშვეობით, თქვენ გავლების უკეთეს შედეგს მიიღებთ.

რჩევა: დამატებითი მაგალითები, თუ როგორ შეგიძლიათ თქვენი ჭურჭლის სარეცნი მოწყობილობის ოპტიმალური შელაგება, შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს ინტერნეტ გვერდზე. ის თქვენ უფასოდ შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ. შესაბამისი ინტერნეტ მისამართის ნახვა შეგიძლიათ ამ გამოყენების ინსტრუქციის უკანა გვერდზე.

დანა-ჩანგლის კალათი*

ჩაღეთ თქვენი დანა-ჩანგალი დაუხარისხებელ მდგომარეობაში წვეტიანი ნაწილით ქვევით დანა-ჩანგლის კალათში.

დაზიანებების თავიდან ასაცილებლად დადეთ გრძელი, წვეტიანი ნაწილები და დანები დანების დასადებ ლანგარზე.




* თქვენი ჭურჭლის სარეცნი მოწყობილობის აღჭურვილობის ვარიანტის შესაბამისად



დანა-ჩანგლის უჯრა*

დანა-ჩანგალი შეალაგეთ დანა-ჩანგლის უჯრის [21] დასურათების შესაბამისად. დაყოფილი შელაგება ამარტივებს რეცხვის შემდგომ ამოლაგებას.

თქვენ შეგიძლიათ გამოიღოთ დანა-ჩანგლის უჯრა.




თქვენი ჭურჭლის სარეცნი მოწყობილობის აღჭურვილობის ვარიანტის შესაბამისად, შეგიძლიათ გკერდითი თაროები ჩამოკეცოთ, რომ მეტი ადგილი გამოგიტავისუფლდეთ მაღალი ჭურჭლის ერთეულებისათვის. თქვენ შეგიძლიათ კბილანებიანი წინა რიგები აკეცოთ, რათა ფართო სანელურები დაახარისხოთ.



* თქვენი ჭურჭლის სარეცნი მოწყობილობის აღჭურვილობის ვარიანტის შესაბამისად

თარო *

ქვედა თარო და სივრცე შეგიძლიათ გამოიყენოთ მცირე ჭიქებისა და ქილებისთვის ან დიდი ზომის დანა-ჩანგლის სახეობისთვის, როგორცაა საჭმლის მოამზადებელი კოვზი ან გრავირებული დანა-ჩანგალი. თუ თქვენ თარო არ გჭირდებათ, შეგიძლიათ აკეცოთ.



* თქვენი ჭურჭლის სარეცნი მოწყობილობის აღჭურვილობის ვარიანტის შესაბამისად, გამოყოფები შეიძლება 3 დონეზე განთავსდეს.

ასე გადაანაცვლებთ თაროს სიმაღლეში:

1. თარო ვერტიკალურად დადგით და ზემოთ გამოქაჩეთ.
2. თარო მცირედად დახრილ მდგომარეობაში ქვევით სასურველ სიმაღლეზე შეაჯერეთ (1, 2, ან 3).
3. ჩასვით თაროები. თაროების ჩასმა ხმოვანი თვალსაზრისით აღქმადია.


ka ჭურჭელი

დასაკეცი შვერილები *

* თქვენი ჭურჭლის სარეცხი მანქანის აღჭურვილობის მიხედვით ზედა ჭურჭლის კალათა დანების დასალაგებელი სინით არის აღჭურვილი. ასე შეგიძლიათ ქვაბები, ჯამები და ქილები უკეთ შეალაგოთ.


ასე კვავთ დასაკეცი შვერილებს:

1. კბილანას წინ მიაწეკით (1).
2. დასაკეცი შვერილები აკეცეთ (2).




პატარა თევშების დამჭერი *

* თქვენი ჭურჭლის სარეცხი მანქანის აღჭურვილობის მიხედვით, ზედა ჭურჭლის კალათი აღჭურვილია მცირე ნაწილების დამჭერით. პატარა ნაწილების მაჭერით თქვენ შეგიძლიათ მსუბუქი პლასტმასისი ნაწილები საიმედოდ დაამაგროთ.



დანების ჩასალაგებელი *

* თქვენი ჭურჭლის სარეცხი მანქანის აღჭურვილობის მიხედვით, ზედა ჭურჭლის კალათი აღჭურვილია დანების ჩასალაგებლით. დანების დასალაგებელი სინზე შეგიძლიათ დანები ან სხვა ატრიბუტები დაალაგოთ.




საცხობი ლანგარის შესაფრქვევი თავაკი *

* თქვენი ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობის აღჭურვილობის ვარიანტის შესაბამისად

დიდი სინები ან გისოსები, როგორცაა დიდი თეფშები (გურმანის თეფშები, პასტას თეფშები და სადილის თეფშები) შეგიძლიათ შესასხურებელი ღილაკის გამოყენებით გაწმინდოთ.

ასე ხელმძღვანელობთ შესასხურებელი ღილაკით:

1. ზედა კალათი [22] გამოიღეთ .
2. შესაფრქვევი თავაკი, დასურათების შესაბამისად ჩასვით და მარჯვნივ გადაატრიალეთ. საფრქვევი თავაკი ჩაჯდება.



იმისათვის რომ შესხურებულმა წყლის ნაკადმა ყველა ნაწილს მიაღწიოს, ისე დალაგეთ სინები, როგორც გამოსახულია (მაქსიმუმ 2 საცხობი სინი და 2 გისოსი).

მითითება: ყურადღება მიაქცეთ იმას რომ, ჭურჭლის სარეცხი საშუალება ყოველთვის ზედა კალათით [22] ან საცხობი სინის შესასხურებლით გამოიყენოთ.

ამოლაგება

ზედა კალათიდან ქვედა კალათის ჭურჭელზე წყლის წვეთვისაგან თავის ასარიდებლად, რეკომენდირებულია დანადგარის ქვემოდან ზემოთ მიმართულებით დაცლა.

რჩევა: ცხელი ჭურჭელი მიჯახების მიმართ ძალიან მგრძობიარეა! ამიტომ, პროგრამის დასრულების შემდეგ, დატოვეთ ის გასაგრილებლად ჭურჭლის სარეცხ მოწყობილობაში მანამ, სანამ მასთან თავისუფალ შეხებას შეძლებთ.

მითითება: პროგრამის დასრულების შემდეგ, შესაძლოა დანადგარის შიდა სივრცეში კვლავ შეინიშნებოდეს წყლის წვეთები. ეს არანაირ ზეგავლენას არ ახდენს ჭურჭლის სიმშრალეზე.

ka ჭურჭელი

კალათის სიმაღლის დაყენება *

* თქვენი ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობის აღჭურვილობის ვარიანტის შესაბამისად


ჭურჭლის ზედა კალათის სიმაღლე [22] საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა დარეგულირდეს, რათა ზედა ან ქვედა ჭურჭლის კალათში მაღალი ჭურჭლისათვის მეტი ადგილის გამოთავისუფლება გახდეს შესაძლებელი.

მოწყობილობის სიმაღლე 81,5 სმ

დანა-ჩანგლის კალათით	ზედა კალათი	ქვედა კალათი
დონე 1 მაქს. Ø	22 სმ	31 სმ
დონე 2 მაქს. Ø	24,5 სმ	27,5 სმ
დონე 3 მაქს. Ø	27 სმ	25 სმ


დანა-ჩანგლის უჯრით	ზედა კალათი	ქვედა კალათი
დონე 1 მაქს. Ø	16 სმ	31 სმ
დონე 2 მაქს. Ø	18,5 სმ	27,5 სმ
დონე 3 მაქს. Ø	21 სმ	25 სმ

ჩაალაგეთ დიდი ზომის თევზები, დიამეტრით 31 სმ, დასურათების შესაბამისად, ჭურჭლის ქვედა კალათში [29].



ჭურჭლის ზედა კალათი გვერდითა სახელურებით


1. გამოიღეთ ჭურჭლის ზედა კალათი [22].
2. ჭურჭლის ზედა კალათი გვერდითა ზედა კიდით დაიჭირეთ. აღნიშნულით უზრუნველყოფილი იქნება შემდეგ ეტაპზე დაცემისაგან დაცვა.
3. ჭურჭლის ზედა კალათი დაუშვით; ორივე სახელური მარცხნივ და მარჯვნივ, კალათის გარე მხრიდან, შიდა მიმართულებით მიაწეკით. ჭურჭლის ზედა კალათი გადაინჩნება.



4. ჭურჭლის ზედა კალათი ასწიეთ, შეეხეთ ზედა ჭურჭლის კალათის ზედა კიდეს და ისე ასწიეთ.
5. დარწმუნდით, რომ ჭურჭლის ზედა კალათი ორივე მხარეს თანაბარ სიმძლვეზეა.
6. შეაცურეთ ჭურჭლის ქვედა კალათი.

ზედა ჭურჭლის კალათი ზედა და ქვედა გორგოლაჭების წყვილით

1. გამოიღეთ ჭურჭლის ზედა კალათი [22].
2. გამოიღეთ ჭურჭლის ზედა კალათი.
3. ჭურჭლის ზედა კალათი ზედა (დონე 3) და ქვედა (დონე 1) გორგოლაჭებზე ისევ ჩამოკიდეთ.



4. შეაცურეთ ჭურჭლის ქვედა კალათი.



გამწმენდი

ჭურჭლის გასარეცხად თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ აბები როგორც ფხვნილისებრი ან თხევადი საწმენდი საშუალება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენოთ ხელით სარეცხი საშუალება. დაბინძურების დონის მიხედვით შეგიძლიათ ფხვნილით ან თხევადი გამწმენდით დოზირება ინდივიდუალურად დაარეგულიროთ. აბები შეიცავს ნებისმიერი წმენდითი დავალებისათვის საკმარისი რაოდენობით ნივთიერებებს. თაამედროვე, მოქმედი საწმენდი საშუალებები გამოიყენებენ დაბალალკალურ რეცეპტს, რომელიც ენზიმებისაგან შედგება. ფერმენტები ქმნიან სიძლიერეს და შლიან ცილას. ფერადი ლაქების ამოსაყვანად (მაგ. ჩაი, კეტჩუპი) გამოიყენება ძირითადად მათეთრებელი ჟანგბადის ბაზაზე არსებული საწმენდები.




ka გამწმენდი


მითითება: კარგი გარეცხვის შედეგადად მიიღწევა აუცილებლად დააკვირდით გამწმენდის შეფუთვაზე არსებულ მითითებებს!
დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში გირჩევთ დაუკავშირდეთ მწარმოებლის საკონსულტაციო ცენტრს.

გაფრთხილება


დაზიანებისა და მატერიალური ზარალის რისკი, გამოწვეული გამწმენდი და სავლები სითხის უსაფრთხოების ინსტრუქციების უგულებელვყოფით!
ყოველთვის გაეცანით სარეცხი და სავლები პროდუქტების უსაფრთხოების მითითებებს.

ჩაასხით სარეცხი საშუალება

1. თუ სარეცხი კამერა  ჯერ კიდევ დახურულია, საკეტს  შეეხეთ მის გასაღებად.
2. სარეცხი საშუალება ჩაასხით მშრალ სარეცხი საშუალების განყოფილებაში  (განივად განათავსეთ აბი და არა ვერტიკალურად).
3. დოზირება: იხილეთ შეფუთვაზე დატანილი მწარმოებლის მითითებები. გამოიყენეთ საწმენდი განყოფილების დოზირების დანაყოფი.
ჩვეულებრივ შემთხვევაში, ნორმალური დაბინძურებისას საკმარისია 20-25 მლ. აბების გამოყენებისას, ერთი აბი საკმარისია.



4. დახურეთ სარეცხი საშუალების განყოფილების თავსახური. თავსახური ჩაჯდება ხმოვანი ტკაცუნით.



გამწმენდის დისპენსერი იხსნება პროგრამაზე დამოკიდებული ავტომატურად ოპტიმალურ დროს. ფხვნილი ან თხევადი გამწმენდი საშუალება ნაწილდება მოწყობილობაში და იხსნება, აბი ვარდება აბის წვეთოვან სინში და იქ იშლება დოზირებულად.

რჩევა: ნაკლებად დასვრილი ჭურჭლის რეცხვისას საკმარისია ზოგადად უფრო ნაკლები რაოდენობით საწმენდი საშუალება ვიდრე მოცემულია. განკუთვნილი საწმენდი და მოვლის საშუალებების შექენა შეგიძლიათ ჩვენი ინტერნეტ გვერდის მეშვეობით ან მომხმარებელთა მომსახურების სამსახურის საშუალებით (ნახეთ უკანა გვერდზე).

კომბინირებული სარეცხი საშუალება

გარდა ჩვეულებრივი გამწმენდისა (Solo) შემოთავაზებულია აგრეთვე მთელი რიგი პროდუქტებისა დამატებითი ფუნქციით. ეს პროდუქტები შეიცავს გამწმენდთან ერთად გამვლებს და მარილის შემცველებს (3ში1) და კომბინაციის მიხედვით (4ში1, 5ში1, ...) დამატებითად კომპონენტებს როგორცაა მინის დამცავი ან უჟანგავი ფოლადის გამაპრიალებელი. კომბინირებული გამწმენდები ფუნქციონირებს მხოლოდ გარკვეულ სინისტეზე (უმეტესად 21° dH). ამ ზღვარზე უნდა მოხდეს მარილისა და სავლები საშუალების დამატება.

როგორც კი კომბინირებული გამწმენდი გამოიყენება, გარეცხვის პროგრამა ავტომატურად ყენდება ისე, რომ გარეცხვისა და გამშრალების საუკეთესო შედეგი იქნას მიღწეული.





მითითებები






- **[24]** არ გამოიყენოთ როგორც სახელოური ზედა კალათისთვის ტაბის წვეთოვანი სინი, თუ თქვენ პროგრამის ჩართვის შემდეგ ჭურჭლის ჩამატება გსურთ. აბი, იქ უკვე იქნება დაშლილი და თქვენ მოგიხდებათ ნაწილობრივ დაშლილ აბთან შეხება.
- არ განათვსოთ არანაირი პატარა ნაწილები აბის წვეთოვან სინში [24]; აბის თანაბარი დაშლა ამით შეფერხდება.
- ოპტიმალური გარეცხვისა და გაშრობის შედეგი მიიღწევა ერთკომპონენტური-გამწმენდის გამოყენებისას გამოყოფილი მარილისა და სავლების გამოყენებასთან ერთად.

- მოკლე პროგრამებისას, სხვადასხვა დაშლის მოქმედებით, აბს სავარაუდოდ არ ექნება სრული გამწმენდის მოქმედება და ასევე შეიძლება დატოვოს ნარჩენები მოუცილებელი. ამ პროგრამისათვის, სარეცხი ფუნქცილი უფრო შესაბამისია.
- "ინტენსიური" პროგრამისათვის (ზოგიერთი მოდელისათვის) ერთი აბით დოზირება არარის საკმარისი. სარეცხი ფუნქცილის გამოყენებისას, შეგიძლიათ დამატებით ცოტა გამწმენდი, მოწყობილობის კარებზე დააყაროთ.
- მაშინაც კი როდესაც გამვლების-და/ან მარილის დამატების მაჩვენებელი ანათებს, პროგრამა აგრძელებს მუშაობას კომბინირებული გამწმენდის გამოყენებისას შეუფერხებლად.
- გამწმენდების გამოყენება წყალში გამხსნადი დამცავი შრით: შეენეთ შრეს მხოლოდ მშრალი ხელებით და ჩაასხით გამწმენდი მხოლოდ აბსოლუტურად მშრალ გამწმენდის დიპენსერში, წინააღმდე შემთხვევაში შეიძლება შეწეპება გამოიწვიოთ.
- თუ თქვენ კომბინირებული გამწმენდიდან ერთ-კომპონენტური გამწმენდზე გადახვალთ, დააკვირდით რომ თქვენ წყლის დამარბილებელი და გამვლების რაოდენობა სწორ პროგრამაზე დააყენოთ.
- ბიო-ეკო საწმენდი: გამწმენდი საშუალებები ნიშნით „ბიო“ ან „ეკო“ გამოიყენებენ (გარემოს დაცვის მიზნით) როგორც წესი ნაკლები რაოდენობით აქტიურ ნივთიერებებს მაგ. მთლიანად ამოღებულია გარკვეული კომპონენტები. გამწმენდის ზემოქმედება ასეთი პროდუქტებისა შეიძლება ქვევით შეიზღუდოს.

პროგრამის მიმოხილვა

ამ მიმოხილვაში ნაჩვენებია მაქსიმალური შესაძლო პროგრამის რაოდენობა. შესაბამისი პროგრამები და მათი განლაგება ამოიკითხეთ თქვენი მართვის პანელიდან.

ჭურჭლის ტიპი	დაბინძურების ტიპი	პროგრამა	შესაძლო დამატებითი ფუნქციები	პროგრამის მიმდინარეობა
ქვაბები, ტაფები, ნაკლებად მგრძობიარე ჭურჭელი და დანა-ჩანგალი	ძლიერ მიკვრადი, მიმწვარი ან მიმხმარი, სახამებელის ან ცილის შემცველი საჭმლის ნარჩენები	 ინტენსიური 70°	ყველა	ინტენსიური: წინასწარ გავლება გაწმენდა 70° პერიოდული გავლება გავლება 69° შრობა
შერეული ჭურჭელი და დანა-ჩანგალი	მსუბუქად შემწვარი, საყოფაცხოვრებო საკვების ნარჩენები	 ავტო 45° - 65°	ყველა	სენსორით-ოპტიმიზებული: დაბინძურების შესაბამისად, სენსორების მეშვეობით ოპტიმიზდება.
შერეული ჭურჭელი და დანა-ჩანგალი	მსუბუქად შემწვარი, საყოფაცხოვრებო საკვების ნარჩენები	 ეკო 50°	ყველა	ეკონომიური პროგრამა: წინასწარ გავლება გაწმენდა 50° პერიოდული გავლება გავლება 63° შრობა
შერეული ჭურჭელი და დანა-ჩანგალი	მსუბუქად შემწვარი, საყოფაცხოვრებო საკვების ნარჩენები	 ღამის	ინტენსიური ზონა ნახევარი დატვირთვა HygienePlus განსაკუთრებით გაშრობა ბზინვარედ გაშრობა	ოპტიმალური ხმით ოპერირება: წინასწარ გავლება გაწმენდა 50° პერიოდული გავლება გავლება 63° შრობა

ჭურჭლის ტიპი	დაბინძურების ტიპი	პროგრამა	შესაძლო დამატებითი ფუნქციები	პროგრამის მიმდინარეობა
მგრძნობიარე ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, ტემპერატურის მიმართ მგრძნობიარე პლასტმასები და ჭიქები	დაბალი სიმკვრივის, დაკვების ახალი ნარჩენები	 შუშა 40°	ინტენსიური ზონა VarioSpeedPlus ნახევარი დატვირთვა განსაკუთრებით გაშრობა ბზინვარედ გაშრობა	განსაკუთრებით ნაზი: წინასწარ გავლება გაწმენდა 40° პერიოდული გავლება 60° შრობა
შერეული ჭურჭელი და დანა-ჩანგალი	მსუბუქად შემშრალი, საყოფაცხოვრებო საკვების ნარჩენები	 სწრაფი 65°	განსაკუთრებით გაშრობა ბზინვარედ გაშრობა	დროში ოპტიმირებული: გაწმენდა 65° პერიოდული გავლება 70° შრობა
შერეული ჭურჭელი და დანა-ჩანგალი	მსუბუქად შემშრალი, საყოფაცხოვრებო საკვების ნარჩენები	1h 65°	განსაკუთრებით გაშრობა ბზინვარედ გაშრობა	დროში ოპტიმირებული: გაწმენდა 65° პერიოდული გავლება 70° შრობა
მგრძნობიარე ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, ტემპერატურის მიმართ მგრძნობიარე პლასტმასები და ჭიქები	დაბალი სიმკვრივის, დაკვების ახალი ნარჩენები	 სწრაფი 45°	განსაკუთრებით გაშრობა ბზინვარედ გაშრობა	დროში ოპტიმირებული: გაწმენდა 45° პერიოდული გავლება 55°
ყველა ჭურჭლის ტიპი	რეცხვის მიმდინარეობისას ცივად გავლება	 წინასწარ გავლება	გარეშე	ცივი გავლება წინასწარ გავლება
-	-	 / Easy Clean მანქანის მოვლა	გარეშე	მანქანის მოვლა 70°

პროგრამის არჩევა

თქვენ შეგიძლიათ ჭურჭლის ტიპისა და დაბინძურების მიხედვით აარჩიოთ შესაბამისი პროგრამა.

მითითებები სატესტო ორგანოებისათვის

სატესტო ორგანოები მიიღებენ მითითებებს შედარებითი შემოწმებისათვის (მაგ. EN60436-ის შესაბამისად).

ეს შეეხება შემოწმების ტესტების განხორციელების პირობებს, თუმცა არა შედეგებსა თუ გამოყენების მნიშვნელებს.

გთხოვთ მოთხოვნა გამოაგზავნოთ შემდეგ ელ-ფოსტაზე: dishwasher@test-appliances.com საჭიროა პროდუქტის ნომერი (E-Nr) და წარმოების ნომერი (FD), რომელიც დანადგარის კარზე არსებულ ტიპის ნიშნულზე **33** მითითებული.

P+ დამატებითი ფუნქციები

* თქვენი ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობის აღჭურვილობის ვარიანტის შესაბამისად, შეგიძლიათ სხვადასხვა დამატებითი ფუნქციები **7** აირჩიოთ.

ღოღო დროის დაზოგვა (VarioSpeedPlus) *

"დროის დაზოგვის" ფუნქციით, შესაძლებელია შერჩეული რეცხვის პროგრამისათვის მიმდინარეობის ხანგრძლივობა დაახლ. 20-66%-მდე შემცირდეს. შემცირებულ მიმდინარეობისას, რეცხვისა და შრობის ოპტიმალური შედეგების მისაღწევად, მოიმატებს წყლისა და ენერჯის მოხმარება.

1/2 ნახევარი დატვირთვა *

თუ თქვენ მხოლოდ მცირე რაოდენობის ჭურჭელი გაქვთ გასარეცხი (მაგ. ჭიქები, თეფშები, ლამბაქები), შეგიძლიათ გამოიყენოთ "ნახევარი დატვირთვა". ამასთან დაგეზოგებათ წყალი, ენერჯია და დრო. გავლების მიზნით, მთლიანი მანქანის დატვირთვისას, რეკომენდირებულია, საწმენდის განყოფილებაში მცირე რაოდენობით საწმენდი საშუალების დამატება.

მწი ჰიგიენა პლუსი *

ამ ფუნქციის მეშვეობით იმატებს ტემპერატურა და გრძელდება ძალიან ხანგრძლივად, რათა განსაზღვრული დეზინფექცია იქნას უზრუნველყოფილი. ამ ფუნქციის უწყვეტი გამოყენებით, უფრო მაღალი ჰიგიენური სტატუსი მიიღწევა. ეს დამატებითი ფუნქცია იდეალურია, მაგალითად საჭრელი დაფებისა და ბავშვების ბოთლების გასარეცხად.



ინტენსიური ზონა *

შესანიშნავია შერეული დატვირთვისათვის. თქვენ შეგიძლიათ ძლიერად დაბინძურებული ქვაბები და ტაფები ქვედა კალათში, ზედა კალათში არსებულ ნორმალურად დაბინძურებულ ჭურჭელთან ერთად გარეცხოთ. ქვედა კალათში ძლიერდება ჭავლის წნევა, მცირედით მატულობს სარეცნი ტემპერატურა.



განსაკუთრებული შრომა *

გავლების დროს მომატებული ტემპერატურა და გახანგრძლივებული შრობის ფაზა, საშუალებას იძლევა პლასტმასის ერთეულები უკეთ გაშრეს. ამ დროს ენერჯის ხარჯვა მსუბუქად იმატებს.



ბზინვარედ გაშრომა *

რეცხვის პროცესში წყლის რაოდენობის მატებისა და შრობის პროცესის განანგრძლივების გამო, ლაქები იქნება თავიდან არიდებული და გაუმჯობესდება შრობის შედეგი. ენერჯის მოხმარება მსუბუქად მატულობს. ბზინვარე გაშრობის ფუნქციისათვის, რეკომენდირებულია სავლები საშუალება (კომბინირებული საწმენდი საშუალების დროსაც).



Energy Save *

"ენერჯის დაზოგვის" ფუნქციით შესაძლებელია შეამციროთ წყლისა და ენერჯის მოხმარება. რეცხვისა და შრობის ოპტიმალური შედეგებისათვის, მიმდინარეობა ხანგრძლივდება.



დანადგარის გამოყენება

პროგრამის მონაცემები

პროგრამის მონაცემები (მოხმარების ერთეულები) შეგიძლიათ იხილოთ მოკლე სახელმძღვანელოში. ისინი ეყრდნობიან ნორმალურ პირობებსა და წყლის სიხისტის დაყენებულ მნიშვნელობას H:MH. სხვადასხვა ზემოქმედებით ფაქტორებს, როგორც არის მაგალითად წყლის ტემპერატურა ან გაყვანილობის წნევა, შეუძლიათ გადახრები განაპირობონ.

აქვასენსორი *

* თქვენი ჭურჭლის სარეცნი მოწყობილობის აღჭურვილობის ვარიანტის შესაბამისად

წყლის სენსორი არის ოპტიკური საზომი მოწყობილობა (სინათლის ბარიერი), რომლითაც სარეცნი წყლის სიმღვრიე იზომება.

წყლის სენსორის გამოყენება ხდება პროგრამის სპეციფიკურიდან გამომდინარე. თუ წყლის სენსორი გააქტიურებულია, შეგიძლიათ „სუფთა“ სარეცნი წყალი შემდგომი რეცხვისას გამოიყენოთ და წყლის გამოყენება (ხარჯი) მცირდება 3-6 ლიტრამდე. თუ ძლიერად არის დაბინძურებული, წყალი გამოიტუმბება და სუფთა წყლით ჩანაცვლდება. ავტომატურ პროგრამებზე დამატებით ტემპერატურა და ხანგრძლივობა დაბინძურების დონეს ერგება.

დანადგარის ჩართვა

1. ბოლომდე გახსენით წყლის ონკანი.
2. ჩართეთ ჩართვა/გამორთვის ჩამრთველი [1].
გარემოსდაცვითი ექსპლუატაციისათვის, ყოველი დანადგარის ტიპისათვის ხელმისაწვდომია ეკო 50° პროგრამა. ეს პროგრამა არჩეული რჩება, თუ სხვა პროგრამის ღილაკს [2] არ დააჭერთ.
3. დააჩირეთ ღილაკს [8] START (ჩართვა).
დაიწყება პროგრამის მიმდინარეობა.

მითითება:

ეკოლოგიური საფუძვლების გამო, პროგრამა ეკო 50°, ნაგულისხმევად არის დაყენებული ნებისმიერი დანადგარის ტიპისათვის. ამით უფრო ხილდებით, როგორც გარემო რესურსებს ისე, თქვენს ბიუჯეტს.

ეკო 50 არის პროგრამა, რომელიც განსაკუთრებულად უფრო ხილდება გარემო რესურსებს. ეს არის "სტანდარტული პროგრამა" 1016/2010 ევროპული კავშირის რეგულირების მიხედვით, რომელიც საშუალოდ დაბინძურებული ჰურჭლის სტანდარტული გასუფთავება გაწმენდის ციკლსა და წყლისა და ენერჯის კომბინაციურ ხმარებას გასუფთავების მიზნით ყველაზე ეფექტურად წარმოადგენს.

Timelight (ოპტიკური მაჩვენებელი პროგრამის მიმდინარეობის მანძილზე) *

* თქვენი ჰურჭლის სარეცხი მოწყობილობის აღჭურვილობის ვარიანტის შესაბამისად

პროგრამის მიმდინარეობისას, იატაკზე, დანადგარის კარის ქვეშ, გამოჩნდება ოპტიკური მაჩვენებელი (პროგრამის დამატებითი ინფორმაცია). შვერილი პლინტუსის ან მალალ კარადაში ჩაშენებისას, დამასრულებელი ავეჯის პანელის გამო მაჩვენებელი აღარ არის ხილვადი.

ოპტიკური მაჩვენებლის შესაძლო პარამეტრები:

- 5:11 მარჯვენა მხარეს გამორთულია.
- 5:1 პროგრამა, დროის წინასწარ არჩევა, / დარჩენილი დროისა და პროგრამის
- 5:12 დასრულების მაჩვენებლები აისახება.

ქარხნულად დაყენებულია 5:1.

თქვენ შეგიძლიათ შემდეგნაირად შეცვალოთ პარამეტრები:

1. ჩართეთ ჩართვა/გამორთვის ჩამრთველი 1.
2. გეჭირთ პროგრამის ღილაკზე A და ჩართვის ღილაკს 8 იმდენჯერ დააჭირეთ, სანამ მაჩვენებელ ფანჯარაში 9 H:მ... არ გამოჩნდება.
3. აუშვით ხელი ორივე ღილაკს. ღილაკის მანათობელი მაჩვენებელი A ციმციმებს.
4. პროგრამის ღილაკს A იმდენჯერ დააჭირეთ, სანამ მაჩვენებელ ფანჯარაში 9 მნიშვნელობა 5:მ არ გამოჩნდება... (ოპტიკური მაჩვენებლისათვის), მანამდე დაყენებული მნიშვნელობა გამოჩნდება, მაგალითად 5:მ 1.
5. პროგრამის ღილაკს C იმდენჯერ დააჭირეთ, სანამ მაჩვენებელ ფანჯარაში 9 სასურველი მნიშვნელობა არ გამოჩნდება, მაგალითად 5:მმ.
6. დააჭირეთ ღილაკს 8 ჩართვა. პარამეტრები შეინახება.

Infolight (ოპტიკური მაჩვენებელი პროგრამის მიმდინარეობის მანძილზე) *

* თქვენი ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობის აღჭურვილობის ვარიანტის შესაბამისად პროგრამის მიმდინარეობისას, გამოჩნდება სინათლე იატაკზე, ჭურჭლის სარეცხი მანქანის კარის ქვეშ. ჭურჭლის სარეცხი მანქანის კარი მას შემდეგ გააღეთ, რაც იატაკზე განათება აღარ იქნება ხილვადი. თუ კარი სრულად არ არის დაკეტილი, აციმციმდება განათება.* მაღალ სიმაღლეზე ჩაშენებისას, როდესაც ავეჯს ესაზღვრება, შესაძლოა განათება არ იყოს ხილვადი.

თქვენ შეგიძლიათ შემდეგნაირად შეცვალოთ პარამეტრები:

1. ჩართეთ ჩართვა/გამორთვის ჩამრთველი 1.
2. გეჭირთ პროგრამის ღილაკზე A და ჩართვის (START) ღილაკს 8 იმდენჯერ დააჭირეთ, სანამ მაჩვენებელ ფანჯარაში H:მ... არ გამოჩნდება.
3. აუშვით ხელი ორივე ღილაკს. ღილაკის მანათობელი მაჩვენებელი A ციმციმებს და მაჩვენებელ ფანჯარაში 9 ანათებს მნიშვნელობა H:მ...
4. პროგრამის ღილაკს A იმდენჯერ დააჭირეთ, სანამ მაჩვენებელ ფანჯარაში 9 ქარხნულად დაყენებული 1:მ 1 მნიშვნელობა არ გამოჩნდება.
5. ღილაკზე დაჭერით C თქვენ შეგიძლიათ ფუნქცია გამორთოთ 1:მმ ან ჩართოთ 1:მ 1.
6. დააჭირეთ ღილაკს 8 ჩართვა. პარამეტრები შეინახება.

დარჩენილი დროის მაჩვენებელი

პროგრამის ამორჩევისას, მაჩვენებელ ფანჯარაში გამოჩნდება პროგრამის მიმდინარეობის დარჩენილი დრო [9].

* პროგრამის დაწყების შემდეგ დარჩენილი დროის მაჩვენებელი წარმოჩენილი იქნება იატაკზე (მხოლოდ პარამეტრისას Timelight 5:11 / და 5:12).

მიმდინარეობის დრო განისაზღვრება პროგრამისას წყლის ტემპერატურით, ისევე როგორც ჭურჭლის რაოდენობითა და დაბინძურების ხარისხით და ის შესაძლებელია ვარირებდეს (არჩეული პროგრამის შესაბამისად).

* თქვენი ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობის აღჭურვილობის ვარიანტის შესაბამისად

დროის არჩევა *

* თქვენი ჭურჭლის სარეცხი მოწყობილობის აღჭურვილობის ვარიანტის შესაბამისად

თქვენ შეგიძლიათ პროგრამის ჩართვა საათობრივად, 24 საათამდე გადაწოთ.

ამგვარად, თქვენ შეგიძლიათ წინასწარ დააყენოთ დრო:

1. ჩართეთ ჩართვა/გამორთვის ჩამრთველი [1].
2. დროის დაყენების ღილაკს [6] + დააჭირეთ, სანამ მაჩვენებელ ფანჯარაში [9] 1 არ გამოჩნდება.
3. დროის დაყენების ღილაკს [6] - ან + იმდენჯერ დააჭირეთ, სანამ თქვენთვის სასურველი დრო არ გამოჩნდება.
4. დააჩირეთ ღილაკს [8] START (ჩართვა). დროის დაყენების ფუნქცია გააქტიურებულია.
5. დროის დაყენების გასაუქმებლად, დააჭირეთ ღილაკს [6] - ან + იმდენჯერ, სანამ მაჩვენებელ ფანჯარაში [9] 1 სთ:11 არ გამოჩნდება.

ჩართვამდე, თქვენ შეგიძლიათ შეცვალოთ თქვენთვის სასურველი პროგრამა.

პროგრამის დასრულება

პროგრამა დასრულდება, როდესაც მაჩვენებელ ეკრანზე **[9]** მნიშვნელობა **[1:11]** გამოჩნდება. დამატებით, პროგრამის დასრულება ზუმერის სახით აკუსტიკურად გაისმება, სანამ სიგნალის ხმა ჩართული იქნება.

ამ გზით თქვენ შეგიძლიათ ხმის სიმძლავრის შეცვლა:

1. ჩართეთ ჩართვა/გამორთვის ჩამრთველი **[1]**.
2. გეჭირეთ პროგრამის ლილაკზე **[A]** და ჩართვის (START) ლილაკს **[8]** იმდენჯერ დააჭირეთ, სანამ მაჩვენებელ ფანჯარაში **H:11... არ** გამოჩნდება.
